ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

ია გაბედავა - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – შ. დ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.06.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 033/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატების მ. მ.-სა /სიითი №/ და ქ. ა. ო.-ს /სიითი №7910/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. მ.-ისათვის /სიითი №/ და ადვოკატ ქ. ა. ო.-სათვის /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 02 ივნისს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა შ. დ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. მ.-ისა და ადვოკატ ქ. ა. ო.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2020 წლის 28 ივნისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა ზეპირი ფორმით წარმოადგინა ახსნა-განმარტება საჩივარზე.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2019 წლის 03 ივლისს მიმართა ადვოკატ მ. მ.-სა და ქ. ა. ო.-ს სამოქალაქო დავაში მისი ინტერესების დასაცავად, კერძოდ, ადვოკატებს მისი ინტერესები უნდა დაეცვათ მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისა და დემონტაჟის საქმეში. ადვოკატ მ. მ.-სა და შ. დ.-ს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება №, ხოლო საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ქ. ა. ო.-ს შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება. ხელშეკრულების საგანს

წაროადგენდა მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია და ნაკვეთზე მიმდინარე უკანონო მშენებლობის შეჩერება/დემონტაჟი. საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა 3000 ლარი.

1.3 შ. დ.-ს განმარტებით, ადვოკატ მ. მ.-ს, ნაღდი ანგარიშსწორებით სასადილოში შეხვედრის დროს ოჯახის წევრების თანდასწრებით გადაუხადა საადვოკატო მომსახურებისთვის შეთანხმებული საზღაურის ნაწილი - 2500 ლარი, ხოლო დარჩენილი 500 ლარი 03 დღის შემდეგ, ვარკეთილის ოფისში გადასცა ადვოკატ ქ. ა. ო.-ს. რამდენიმე დღის შემდეგ კი ადვოკატებს გაუფორმა შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა.

1.4 შ. დ.-ს განმარტებით, ადვოკატები დაუდევრად უძღვებოდნენ საქმეს, კერძოდ, მათ შეეშალათ სადავო მიწის ნაკვეთი და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარუდგინეს შეცდომით შედგენილი აზომვითი ნახაზი, რაც გახდა მარეგისტრირებელი ორგანოს მხრიდან უძრავი ქონების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატები მასთან ერთად მივიდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობაში და აიღეს უკვე გამზადებული ცნობა დემონტაჟის შესახებ, რადგან მანამდე აღნიშნული ცნობისათვის საჩივრის ავტორმა თვითონ მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს. ადვოკატებმა მასთან ერთად წამოიღეს კასპის მუნიციპალიტეტიდან ცნობა, რაც დამოუკიდებლად წარადგინეს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში და დაპირდნენ, რომ დემონტაჟი მალე განხორციელდებოდა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა მ. მ.-მ უარი განუცხადა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში რეგისტრირებული განცხადების სარეგისტრაციო ნომრის გაცემაზე.

1.6 შ. დ.-ს განმარტებით, გარკვეული პერიოდის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ადვოკატებს სთხოვდა სარჩელი წარედგინათ სასამართლოში, რაზეც ადვოკატები პასუხობდნენ რომ ამის საჭიროება ჯერჯერობით არ იდგა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ამ დროის განმავლობაში მეზობლებმა მოახერხეს სადავო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების დარეგისტრირება, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობა ადვოკატებს და წარუდგინა საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო ჩანაწერი. ამის შემდეგ, 2020 წლის სექტემბრის თვეში, ადვოკატ ქ. ა. ო.-მ მიაწოდა ინფორმაცია, რომ სარჩელის სასამართლოში წარსადგენად აგროვებდა საჭირო დოკუმენტაციას და სასამართლოს 10 დღეში მიმართავდა, თუმცა ადვოკატს სასამართლოსათვის არ მიუმართავს.

1.7 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატები საქმის წარმოების პროცესს განგებ აჭიანურებდნენ, ხოლო საქმის წარმოების პროცესის გაჭიანურებას პანდემიის გავრცელებას აბრალებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ საქმის წარმოება პანდემიამდე უნდა დასრულებულიყო.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, სადავო მიწის ნაკვეთის გამო მეზობელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. შ. დ.-მ დაადასტურა, რომ იგოეთის პოლიციის დეპარტამენტში საჩივრის წერისას თან ახლდნენ ადვოკატები მ. მ. და ქ. ა. ო. ადვოკატი მ. მ. პროცესს ბოლომდე არ დასწრებია, ხოლო ადვოკატი ქ. ა. ო. ესწრებოდა დაზარალებულის გამოკითხვას. შ. დ.-ს განმარტებით, ადვოკატებმა უთხრეს, რომ საჩივრით მიმართეს გენერალური ინსპექციის

სამსახურს, თუმცა მათ არც აღნიშნული მოქმედების დამადასტურებელი დოკუმენტი წარუდგინეს კლიენტს.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატები არ პასუხობდნენ მის ზარებს და იყო შემთხვევა, როცა ადვოკატმა ქ. ა. ო.-მ არ უპასუხა მისი სატელეფონო ნომრით განხორციელებულ ზარს, თუმცა მაშინვე უპასუხა სხვა ნომრით განხორციელებულ სატელეფონო ზარს. შ. დ. განმარტავს, რომ საბოლოოდ, მოახერხა ადვოკატ მ. მ.-სთან გასაუბრება, რის შემდეგაც ადვოკატი შეხვდა საჩივრის ავტორს, ხოლო ადვოკატ ქ. ა. ო.-სთან დაკავშირება მხოლოდ სატელეფონო საუბრით შემოიფარგლა. საჩივრის ავტორმა ადვოკატ მ. მ.-ს მოსთხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, ვინაიდან ხელშეკრულების გაფორმებიდან დაახლოებით წელიწადნახევარი იყო გასული, ადვოკატებს კი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ ქმედითი ღონისძიებები არ განეხორციელებინათ. აღნიშნულ შეხვედრაზე ადვოკატმა მ. მ.-მ გამოთვალა გამოუმუშავებელი ჰონორარი, რაც განსაზღვრა 1500 ლარით. კლიენტი განმარტავს, რომ ადვოკატებს მისთვის ხარჯთაღრიცხვა არ წარუდგენიათ და საბოლოოდ არც შეთანხმებული თანხა დაუბრუნეს, რის გამოც იძულებული იყო ადვოკატებისათვის სახლში მიეკითხა. ვინაიდან, ადვოკატები თავს არიდებდნენ კლიენტისათვის თანხის დაბრუნებას, შ. დ.-მ ადვოკატ ქ. ა. ო.-ს მიაკითხა ქარელში, საცხოვრებელ სახლში, სადაც გაღიზიანებულმა ადვოკატმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მის ნათესავებს რომ არ შეეჩერებინათ ფიზიკურადაც გაუსწორდებოდა მას.

1.10 შ. დ. განმარტავს, რომ 2021 წლის იანვარში, ის კიდევ ერთხელ დაუკავშირდა ადვოკატებს და ადვოკატმა ქ. ა. ო.-მ მისი სიძის ანგარიშზე ჩარურიცხა 1000 ლარი. საჩივრის ავტორის ცნობით ის კვლავ დაუკავშირდა ადვოკატებს, რადგან შეთანხმებული თანხა იყო 1500 და არა 1000 ლარი, თუმცა ადვოკატებმა განუცხადეს, რომ ამაზეც მადლობა ჰქონდა სათქმელი. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატები მოქმედებდნენ არაკეთილსინდისიერად და დიდი ზიანი მიაყენეს მის, როგორც კლიენტის ინტერესებს.

2 საჩივრის ავტორის მოწმის ბ. ნ. ო.-ს განმარტება:

2.1 ეთიკის კომისიამ დააკმაყოფილა საჩივრის ავტორის შუამდგომლობა მოწმის სახით ბ. ნ. ო.-ს გამოკითხვაზე და მოწმე 2021 წლის 15 ივლისს გამოიკითხა.

2.2 მოწმე ადასტურებს საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატებისათვის საადვოკატო ჰონორარის გადაცემის ფაქტს და განმარტავს, რომ შ. დ.-მ ადვოკატებს თავდაპირველად გადასცა 2500 ლარი, ხოლო შემდეგ დარჩენილი 300 ლარი.

2.3 მოწმის განმარტებით, ადვოკატები არაკეთილსინდისიერად უძღვებოდნენ საქმეს; არ განახორციელეს საპროცესო მოქმედებები კლიენტის ინტერესების დასაცავად და განგებ აჭიანურებდნენ საქმის წარმოების პროცესს.

2.4 მოწმის განმარტებით, გამოუმუშავებელი ჰონორარის დასაბრუნებლად ქარელში ჩასულ შ. დ.-ს ადვოკატმა ქ. ა. ო.-მ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და უხეშად გააგდო სახლიდან.

3 ადვოკატ ქ. ა. ო.-ს პოზიცია:

3.1 ადვოკატ ქ. ა. ო.-ს წერილობითი განმარტება არ წარმოუდგენია კომისიის მიერ მისთვის განსაზღვრულ ვადაში. 2021 წლის 15 ივლისს გამართულ საპროცესო სხდომაზე ადვოკატმა ქ. ა. ო.-მ დააყენა შუამდგომლობა მისი და ადვოკატ მ. მ.-ის საქმეების გაერთიანების თაობაზე და ასევე ითხოვა დამატებითი დრო მტკიცებულებების წარმოსადგენად, რაც ადვოკატ მ. მ.-ის თახმობის შემდეგ დაკმაყოფილდა საპროცესო კოლეგიის მიერ. ადვოკატს მოთხოვნილ დროში განმარტება ან მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.

3.2 ადვოკატი ქ. ა. ო. 2021 წლის 01 ნოემბერს დაესწრო საპროცესო კოლეგიის სხდომას და წარმოადგინა ზეპირი განმარტება. ადვოკატი სადავოდ არ ხდის ფაქტს, რომ მას, შ. დ.-სთვის ადვოკატ მ. მ.-სთან ერთად უნდა გაეწია საადვოკატო მომსახურება მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისა და უკანონო მშენებლობის დემონტაჟის საქმეზე. ადვოკატის თანახმად, შ. დ.-სთან საქმიანი ურთიერთობა დაიწყო 2019 წლის 03 ივლისს. საჩივრის ავტორთან ხელშეკრულება გააფორმა, მისმა კოლეგამ - ადვოკატმა მ. მ.-მ. კლიენტის მოთხოვნა იყო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და ამავე მიწის ნაკვეთზე მიმდინარე მშენებლობის შეჩერება–დემონტაჟი. ადვოკატის ცნობით, მხარეები შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურების ჰონორარზე, რაც განისაზღვრა 3000 ლარით, აქედან 2500 ლარი კლიენტმა გადაიხადა ხელშეკრულების გაფორმებისას, ხოლო დანარჩენი 500 ლარი საჩივრის ავტორმა გადაიხადა რამდენიმე დღის შემდეგ.

3.3 ადვოკატის განმარტებით, ის ადვოკატ მ. მ.-სთან ერთად შეუდგა საკუთარი ვალდებულების შესრულებას. კერძოდ, ადვოკატებმა სოფელ ფერმაში, საკუთარი ხარჯებით, ჩაიყვანეს სპეციალისტი, რომელმაც შეადგინა აზომვითი ნახაზი, თუმცა აღმოჩნდა, რომ ნახაზი იყო არასწორი, რადგან შ. დ. არ ესწრებოდა პროცედურას, ხოლო საჩივრის ავტორის მეუღლემ არასწორი მონაცემები უკარნახა სპეციალისტს. ადვოკატის ცნობით, მათ ასევე მიიღეს დემონტაჟის დაწყების განკარგულება, თუმცა პანდემიის პირობებში, ვერ მოხერხდა ამ პროცესის განოხრციელება.

3.4 ადვოკატის განმარტებით, მას დაუკავშირდა საჩივრის ავტორი და აცნობა, რომ ნახაზები იყო არასწორი და აღიარა, რომ ეს მოხდა საკუთარი ქმრის დაუდევრობის შედეგად, რადგან მან ზუსტად ვერ განსაზღვრა მიწის ნაკვეთის საზღვარი და შეცდომით აზომეს მეზობლის მიწის ნაკვეთიც. ადვოკატები პირადად ჩავიდნენ საჩივრის ავტორთან და წარუდგინეს უკვე შედგენილი ნახაზები, რა დროსაც საჩივრის ავტორი გაბრაზდა საკუთარ მეუღლეზე და ადვოკატების თანდასწრებით, უშვერი სიტყვებით მოიხსენია მეუღლე. ადვოკატებმა იგი დაამშვიდეს და უთხრეს რომ საჭირო იყო ახალი ნახაზების შედგენა. თუმცა, მათ ხელახალი ნახაზები არ შეუდგენიათ, რადგან ამ დროს უკვე არსებობდა გარკვეული განხეთქილება საჩივრის ავტორსა და ადვოკატებს შორის და შ. დ.-ს უკვე სხვა ადვოკატისთვის ჰქონდა მიმართული დახმარების სათხოვნელად.

3.5 ადვოკატი განმარტავს, რომ გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხებისა, კლიენტს იცავდა სისხლის სამართლის საქმეში. ადვოკატის განცხადებით, შ. დ. დაუკავშირდა და აცნობა, რომ მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შემდეგაც ის დაუყოვნებლივ ჩავიდა სოფელ ფერმაში და შეუდგა კლიენტის ინტერესების დაცვას, კერძოდ, მრავალჯერ შეხვდა

გამომძიებელსა და პროკურორს; შეადგინა დასაკითხ მოწმეთა სია, რომელიც გადასცა გამომძიებელს და განუმარტა კლიენტს, რომ სისხლის სამართლის საქმეში წარმომადგენლობას არ ითვალისწინებდა მათ შორის დადებული ხელშეკრულება და საჭირო იყო ახალი ხელშეკრულების დადება, რაზეც კლიენტმა განაცხადა თანახმობა, თუმცა მალევე გაირკვა რომ მას აღარ ჰქონდა პრეტენზია მეზობლების მიმართ. ადვოკატის თქმით, ის დიდ დროს ხარჯავდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებაზე, შესაბამისად, სამოქალაქო საქმეზე მუშაობას განაგრძობდა მისი კოლეგა, ადვოკატი მ. მ.

3.6 ადვოკატი ქ. ა. ო. მიუთითებს, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ნამდვილად გაჭიანურდა, მათ მიმართეს შესაბამის გამგეობას დემონტაჟის შესახებ ცნობის აღებისათვის და წარადგინეს იგი სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში, თუმცა აღსრულების ეროვნულ ბიუროს არანაირი მოქმედება არ განუხორციელებია, რაც განპირობებული იყო პანდემიის გავრცელებით და ადმინისტრაციული ორგანოსგან მიღებული ინფორმაციით შეჩერებული იყო დემონტაჟთან დაკავშირებული ყველანაირი მოქმედება. აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული იყო საჩივრის ავტორიც.

3.7 ადვოკატის განმარტებით, ის ცხოვრობს რეგიონში, თუმცა სამუშაო დღეებში იმყოფება ქ.თბილისში და მხოლოდ შაბათ–კვირას ახერხებს ქარელში ჩასვლას. ადვოკატის თანახმად, მის არყოფნაში კლიენტი რამდენჯერმე მივიდა მასთან სახლში და როდესაც ადვოკატი იქ არ დახვდა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ადვოკატის ოჯახის წევრებს. ადვოკატი განმარტავს, რომ ერთ-ერთ ასეთ ინციდენტს თავადაც შეესწრო, რა დროსაც საჩივრის ავტორი საუბრობდა, უხეშად და ხმამაღლა, რის გამოც ადვოკატმა საკმაოდ მკაცრი ტონით, მოუწოდა დაუყოვნებლივ დაეტოვებინა მისი სახლი. ადვოკატის თქმით, მან განუმარტა კლიენტს, რომ თუ თავს მოტყუებლად გრძნობდა, შეეძლო პოლიციისათვის ან ეთიკის კომიისათვის მიემართა.

3.8 ადვოკატის განმარტებით, კლიენტი ითხოვდა თანხის დაბრუნებას, თუმცა თავად ადვოკატი თვლიდა რომ მან სრულად გამოიმუშავა მიღებული საადვოკატო ჰონორარი, ვინაიდან კლიენტს წარმომადგენლობას უწევდა სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე. თუმცა, ადვოკატებმა მაინც გადაწყვიტეს კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების ნაწილის - 1000 ლარის დაბრუნება. თანხა ჩარიცხეს შ. დ.-ს სიძის საბანკო ანგარიშზე, რის შემდეგაც კლიენტმა აცნობა, რომ მას აღარ ჰქონდა პრეტენზია ადვოკატებთან და განაცხადა, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას დასრულებულად მიიჩნევდა.

3.9 ადვოკატი მიიჩნევს, რომ მას არ დაურღვევია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მისი მხრიდან დაცული იყო ქცევის პროფესიული სტანდარტები.

4 ადვოკატ მ. მ.-ის პოზიცია:

4.1 ადვოკატ მ. მ.-ს წერილობითი განმარტება არ წარმოუდგენია კომისიის მიერ მისთვის განსაზღვრულ ვადაში. ადვოკატმა მ. მ.-მ 2021 წლის 06 სექტემბერს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, რომლის თანახმადაც იგი არ ეთანახმება საჩივარში გამოთქმულ პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ მას არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული პროფესიული სტანდარტები.

4.2 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორთან საქმიანი ურთიერთობა დაიწყო 2019 წლის 03 ნოემბერს, როდესაც შ. დ. მეუღლესთან ერთად მივიდა მასთან საადვოკატო ოფისში და ადვოკატთან გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და ამავე მიწის ნაკვეთზე მიმდინარე მშენებლობის შეჩერება–დემონტაჟი. ადვოკატის თანახმად, კლიენტმა სრულად გადაიხადა საადვოკატო ჰონორარი - ჯერ 2500 ლარი, ხოლო შემდეგ 500 ლარი, სულ - 3000 ლარი.

4.3 ადვოკატის განმარტებით, ის დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეზე მუშაობას მის კოლეგასთან, ადვოკატ ქ. ა. ო.-სთან ერთად. ადვოკატი განმარტავს, რომ საქმის წარმოების პროცესში მათ ხშირად უწევდათ საკუთარი ხარჯებით კლიენტთან სოფელ ფერმაში ჩასვლა, ადვოკატებმა საკუთარი სახსრებით უზრუნველჰყვეს აზომვითი სამუშაოების ჩატარება, რომელიც აუცილებელი იყო ნაკვეთის რეგისტრაციისთვის, კერძოდ კი მათ, ქ.თბილისში მოიძიეს სპეციალისტი და საკუთარი ხარჯებით ჩაიყვანეს სოფელ ფერმაში, აზომვითი სამუშაოების ჩატარების მიზნით. ადვოკატის განცხადებით, შ. დ.-ს მეუღლის მითითებების საფუძველზე სპეციალისტმა შეადგინა აზომვითი ნახაზი, რის შემდეგაც მას დაუკავშირდა საჩივრის ავტორი და აცნობა რომ ნახაზი იყო არასწორი, მისმა მეუღლემ არ იცოდა ზუსტი მონაცემები. შესაბამისად, ვერ მოხერხდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დასახელებულ ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

4.4 ადვოკატის განმარტებით, კლიენტის ინტერესების შესაბამისად, პრიორიტეტული იყო უკანონო მშენობლობის აღკვეთა და არსებული შენობის დემონტაჟი. ადვოკატებმა მიმართეს ოკამის არქიტექტურულ სამსახურს და მიიღეს დემონტაჟისთვის აუცილებელი დადგენილება, რომელიც გამოიცა ადვოკატების უშუალო მონაწილეობითა და ჩართულობით. აღნიშნული დოკუმენტი ადვოკატებმა წარადგინეს აღსრულების ეროვნულ ბიუროში, თუმცა აღმოჩნდა, რომ დადგენილება იყო ხარვეზიანი და ადვოკატებმა მაშინვე მოითხოვეს ამის გამოსწორება.

4.5 ადვოკატის განმარტებით, საქმის წარმოებისას დაიწყო პანდემია და სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში შეჩერდა დემონტაჟთან დაკავშირებული საქმის წარმოების მიმდინარეობა. ადვოკატის განმარტავს, რომ კლიენტმა სთხოვა სასამართლოში საქმის აღძვრა, თუმცა ადვოკატმა ამის საჭიროება ვერ დაინახა.

4.6 ადვოკატის განცხადებით, კლიენტმა მიუტანა დოკუმენტის ქსერო–ასლი, სადაც მოცემული იყო მიწის ნაკვეთის ფართობი და მიაწოდა ინფორმაცია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის არქივში ინახებოდა საბუთები, რომელიც ადასტურებდა კლიენტის საკუთრების უფლებას სადავო მიწის ნაკვეთზე. ადვოკატის განცხადებით, ისინი უკვე იწყებდნენ მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის საქმეზე მუშაობას, როდესაც საჩივრის ავტორმა გადაწყვიტა მათთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულება.

4.7 ადვოკატი მიიჩნევს, რომ შ. დ.-სა და ადვოკატებს შორის ურთიერთობა გაცდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შეთანახმებას, რადგან ადვოკატებს სისხლის სამართლის საქმეშიც

სრულიად უსასყიდლოდ დაიცვეს კლიენტის ინტერესები, მიუხედავად იმისა რომ ამას მათ შორის დადებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა.

4.8 ადვოკატის განმარტებით, ადვოკატ ქ. ა. ო.-თან მოლაპარაკების შემდეგ, კლიენტს დაუბრუნეს საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი ჰონორარის ნაწილი - 1000 ლარი. ადვოკატი მიიჩნევს, რომ რეალურად კლიენტისათვის არც აღნიშნული თანხა უნდა დაებრუნებინათ და ეს უბრალოდ პატივისცემის ჟესტს წარმოადგენდა.

II სამოტივაციო ნაწილი

5. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

5.1 ადვოკატი მ. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

5.2 ადვოკატი ქ. ა. ო. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

5.3 შ. დ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 09 დეკემბერს.

5.4 სადავო ქმედება განხორციელდა 2021 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

6. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. მ.-ისა და ადვოკატ ქ. ა. ო.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: ადვოკატებმა არაკეთილსინდისიერად აწარმოეს საქმე და ბოლომდე არ შეასრულეს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები; ადვოკატები საქმის წარმოებაზე ინფორმაციას არ აწვდიდნენ კლიენტს, არ პასუხობდნენ მის ზარებს და უყურადღებოდ ტოვებდნენ თვეების განმავლობაში; ადვოკატებმა უარი თქვეს გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნებაზე; ადვოკატმა ქ. ა. ო.-მ საჩივრის ავტორს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

7.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ მ. მ.-ისა და ადვოკატ ქ. ა. ო.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის მიხედვითაც: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

7.3 ადვოკატი კლიენტთან საქმიანობას იწყებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურება განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატი ვალდებულია კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს კანონით დადგენილი ყველა საშუალება. კლიენტის მიერ ადვოკატისთვის მინდობილი საქმის მსვლელობისას, ადვოკატი ვალდებულია კლიენტის სახელით მოიპოვოს საქმისთვის მნიშნელოვანი მტკიცებულებები და წარმოადგინოს კლიენტი სხვადასხვა ორგანოსა თუ დაწესებულებაში, მათ შორის წარადგინოს სარჩელი და შუამდგომლობები სასამართლოში და მიმართოს განცხადებით საჯარო თუ კერძო დაწესებულებებს, აღნიშნული მოქმედებებით ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს კლიენტის სათანადო წესით დაცვა.

7.4 ადვოკატის მიერ მომსახურების კეთილსინდისიერად გაწევის ვალდებულება არის სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი ძირეული ნორმატიული პრინციპის - კეთილსინდისიერების ვალდებულების (სსკ 8.3 მუხლი), რომელიც ამავდროულად სუბიექტური შემადგენელის მატარებელია, კერძო გამოხატულება. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, სამართალში არსებობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერების პრეზუმფცია (სუსგ №ას-589-2019 პარ. 28, შეადარეთ ასევე სუსგ: ას899-1185-09, ას-1252-1181-2012; ას-23-23-2016). ეთიკის კომისიის მოსაზრებით, აღნიშნული პრეზუმფცია სრულად გამოსაყენებელია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობის შეფასებისას: „საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით და პროფესიული წესებით დაკისრებულ მოვალეობებს, ეს განსაკუთრებით ნათელია იმ როლის გათვალისწინებით, რომელიც ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.“ (N089/17, პარ. 6.3.8).

7.5 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე–2 მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის საქმიანობის ფარგლებს, რომლის თანახმად საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ,,ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსულტაციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში, მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.“ დასახელებული მუხლის თანახმად, ადვოკატის საქმიანობა მოიცავს კლიენტისადმი დადგენილი ვალდებულებების კეთილსინდისიერად და კანონმდებლობის ფარგლებში შესრულებას. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის ფარგლებს და ადვოკატს აკისრებს ვალდებულებებს კლიენტის მიმართ, ადვოკატსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

7.6 ,,ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.“ (ეთიკის კომისიის 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 062/15, პარ. 5.8). იმ ფაქტებზე მითითება და მტკიცებულებების წარმოდგენა, რომ ადვოკატი არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა, თუნდაც საპროცესო ეტაპისთვის საჭირო დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად, განმცხადებელზეა. კეთილსინდისიერად მოქმედების ვარაუდი ქარწყლდება, თუ წარმოიშვება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადვოკატი არ იყო დამოუკიდებელი, ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი ან არსებობდა ამ კონფლიქტის წარმოშობის არსებითი საფრთხე და სხვა შემთხვევაში, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ადვოკატის მიერ დამოუკიდებელი იურიდიული რჩევის გაცემის შესაძლებლობა.

7.7 საპროცესო ეტაპზე საქმის მოკვლევისას დადგინდა, რომ ადვოკატ მ. მ.-სა და ადვოკატ ქ. ა. ო.-ს საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწიათ შ. დ.-სათვის. მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია და ნაკვეთზე მიმდინარე უკანონო მშენებლობის შეჩერება/დემონტაჟი, რაც დასტურდება ადვოკატ მ. მ.-სა და შ. დ.-ს შორის 2019 წლის 03 ივლისს გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით.

7.8 ადვოკატების მიერ ეთიკის კომისიისათვის 2021 წლის 16 სექტემბერსა და 2021 წლის 01 ნოემბერს წარმოდგენილი ზეპირი ახსნა-განმარტებების მიხედვით, მათ შ. დ.-ს ინტერესების სასარგებლოდ განახორციელეს შემდეგი მოქმედებები: გაეცნენ და საფუძვლიანად შეისწავლეს საქმის მასალები; თბილისში მოიძიეს მიწის ნაკვეთის ამზომველი და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყვეს მისი ტრანსპორტირება სოფელ ფერმაში; შეადგინეს აზომვითი ნახაზი და წარადგინეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში; შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსგან მოიპოვეს აღსრულებას ქვემდებარე აქტი და წარადგინეს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში აღსასრულებლად; საჩივრის ავტორს უსასყიდლოდ გაუწიეს საადვოკატო მომსახურება სისხლის სამართლის საქმეში და თან ახლდნენ პოლიციის განყოფილებაში საჩივრის წერისას. ადვოკატები განმარტავენ, რომ კლიენტს აწვდიდნენ ამომწურავ ინფორმაციას საქმის წარმოების მსვლელობაზე და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებები შეესაბამებოდა კლიენტის ნებას.

7.9 ეთიკის კომისიამ, ადვოკატებს, 2021 წლის 16 სექტემბერსა და 2021 წლის 01 ნოემბერს მესამედ განუსაზღვრა დამატებითი ვადა მტკიცებულებების წარმოსადგენად, თუმცა ადვოკატებს საკუთარი პოზიციის გასამყარებლად არ წარმოუდგენიათ შესაბამისი მტკიცებულებები, კერძოდ, ადვოკატებმა ეთიკის კომისიას არ წარმოუდგინეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ან/და ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ მიღებული ნორმატიულ

სამართლებრივი ან/და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, რაც დაადასტურებდა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დემონტაჟთან დაკავშირებული პროცესების აღსრულების შეჩერებას. ადვოკატებმა ეთიკის კომისიას არ წარუდგინეს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროში სააღსრულებო ფურცლის ან/და განცხადების წარდგენის დამადასტურებელი მიღების ბარათები, რაც დაადასტურებდა, რომ ადვოკატებმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები სრულად და ჯეროვნად შეასრულეს. მხარეთა ურთიერთსაპირისპირო ახსნა-განმარტებების არსებობისას, ეთიკიამ კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებითა და სხვა მტკიცებულებებით, რადგან სწორედ არსებული მტკიცებულებების საფუძველზეა შესაძლებელი დადასტურდეს საჩივრის ავტორის პრეტენზიის საფუძვლიანობა. ადვოკატის მხრიდან კლიენტისათვის არაკეთილსინდისიერი საადვოკატო მომსახურების ფაქტი კლიენტის სამტკიცებელია. მან უნდა წარმოადგინოს ისეთი მტკიცებულებები ან მიუთითოს კომისიას იმ მტკიცებულებების გამოთხოვაზე, გამოკვლევაზე, რაც შექმნის დასაბუთებულ ვარაუდს სადავო ქცევის ჩადენაზე. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან შ. დ.-ს გააჩნია პრეტენზია, რომ ადვოკატმა მ. მ.-მ და ადვოკატმა ქ. ა. ო.-მ მის მიმართ დაარღვიეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატთა ქცევის პრინციპები, ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი სწორედ საჩივრის ავტორს ეკისრება. მან უნდა შეუქმნას კომისიას დასაბუთებული ვარაუდი, რომ საჩივარში წარმოდგენილი სადავო მოქმედება ჩაიდინეს ადვოკატებმა. მტკიცების ტვირთის განაწილებისას, ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“

7.10 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ვინაიდან საჩივრის ავტორს გააჩნდა პრეტენზია, რომ ადვოკატმა მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა ქცევის სტანდარტი, მას ეკისრებოდა ფაქტების მტკიცების ტვირთი. მას უნდა დაემტკიცებინა სარწმუნო და ურთიერთშეთანხმებული მტკიცებულებებით, რომ ადვოკატმა დაარღვია პროფესიული ეთიკის ნორმები, თუმცა საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიისათვის მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. საქმეში არსებული მასალებისა და მოთხოვნილი მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, მხოლოდ საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებას ვერ ექნება მაღალი მტკიცებულებითი ძალა. საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ საქმის მასალებით არ დგინდება ადვოკატების მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევა.

7.11 ეთიკის კომისიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის მეორე პრეტენზიაზე, რაც ეხებოდა ადვოკატების მიერ კლიენტის მიმართ ინფორმირებულობის ვალდებულების დარღვევასა და

გამოუმუშავებელი ჰონორარის მიღებას. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატების მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

7.12 ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა განსაკუთრებულ ნდობაზეა დამოკიდებული, რაც თავისთავად კავშირშია ინფორმირებულობასთან, რადგან ინფორმაციის გაცვლით ხდება მათ შორის კომუნიკაცია და სამომავლო მოქმედებებზე შეთანხმება, კლიენტის ინტერესებს პირდაპირ უკავშირდება ინფორმირებულობა. ინფორმაციის მიწოდებაში არ იგულისხმება გარანტიებისა და იმედის მიცემა ადვოკატის მხრიდან, არამედ მან საქმეზე თითოეული დეტალი, გარემოება, ფაქტები უნდა აცნობოს კლიენტს. კლიენტის ინფორმირების ვალდებულებას ადვოკატი იმ შემთხვევაში ასრულებს, თუ კლიენტს ინფორმაციას აწვდის სათანადოდ, რაც გულისხმობს სწორი, სრული ინფორმაციის მიწოდებას სრულფასოვნად, გასაგებ ენაზე და დროულად. (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკა 2018-2020 წლები გვ 116. თბილისი. 2020 წელი). ინფორმაციის მიწოდება უნდა ხდებოდეს როგორც ადვოკატის ინიციატივით, ასევე კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე. კლიენტს საშუალება უნდა ჰქონდეს ადვოკატთან მუდმივ კავშირზე ყოფნის. არაინფორმირებული კლიენტი ვერ მიიღებს გათვითცნობიერებულ გადაწყვეტილებას მის საქმეზე, შედეგად ის ვერ იქნება ეფექტიანად ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (საქმე N083/18, 2019 წლის 28 თებერვალი).

7.13 ადვოკატ მ. მ.-ისა და ადვოკატ ქ. ა. ო.-ს განმარტებით, საჩივრის ავტორს დროულად და სრულად აწვდიდნენ საქმის წარმოების შესახებ ინფორმაციას. ადვოკატები განმარტავენ, რომ შ. დ.-მ იცოდა აზომვითი ნახაზის ხარვეზიანობის შესახებ და მათთან საუბარში აღიარა, რომ შეცდომა მისი მეუღლის დაუდევრობით იყო გამოწვეული, თუმცა აღარ მოინდომა ახალი ნახაზის შედგენა. ადვოკატმა მ. მ.-მ საპროცესო კოლეგიის 2021 წლის 16 სექტემბრის სხდომაზე განაცხადა, რომ ის შ. დ.-სთან ერთად მივიდა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში, შესაბამისად, საჩივრის ავტორმა იცოდა დემონტაჟის პროცესის შეჩერების შესახებ. როგორც ადვოკატების, ისე შ. დ.-ს ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ საჩივრის ავტორი ჩართული იყო საქმისწარმოებაში და ჰქონდა ინფორმაცია საქმის წარმოების გაჭიანურების თაობაზე.

შესაძლოა შ. დ. კმაყოფილი არ დარჩა ადვოკატების მიერ შესრულებული მოქმედებებით ან ინფორმირების ხარხისხით, თუმცა საქმეზე არსებითი მოქმედებების თაობაზე მისი განმარტებიდან, როგორც ჩანს, ინფორმაციას ფლობს. საჩივრის ავტორის განმარტებების საფუძველზე ეთიკის კომისია ადგენს, რომ ადვოკატთა მხრიდან კლიენტის ინფორმირებულობის სტანდარტი არ დარღვეულა.

7.14 ეთიკის კომისია ადვოკატების - მ. მ.-ისა და ქ. ა. ო.-ს საყურადღებოდ განმარტავს, რომ კომუნიკაციის ის ფორმა, რაც მათ აირჩიეს ეთიკის კომისიასთან ურთიერთობაში, კერძოდ სამჯერ დაპირება, რომ მტკიცებულებებს წარმოადგენდნენ, რომელიც საქმეზე წარმოების დასრულებამდე არ წარმოუდგენიათ, მათ შორის არც წერილობითი ფორმით განმარტებები, წარმოადგენს არასათანადო კომუნიკაციას. ამ შემთხვევაში ეთიკის კომისიასთან ურთიერთობაში გამოჩენილი არათანმიმდევრულობა არ არის საკმარისი საფუძველი დისციპლინური დევნის აღძვრისთვის, თუმცა კომისიას უქმნის ვარაუდს, რომ კლიენტთან ურთიერთობაშიც შესაძლოა არსებობდა კომუნიკაციის გარკვეული პრობლემები, რაც პროფესიულ ურთიერთობებში ადვოკატების მხრიდან დამატებით მუშაობას და გულისხმიერებას მოითხოვს და კომისიის კოლეგიალური რჩევაა, ადვოკატებმა კლიენტებთან ურთიერთობაში სწორ და სრულ ინფორმირებას მეტი ყურადღება დაუთმონ.

7.15 საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რაც ეხება ადვოკატების მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარის დაუბრუნებლობას, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ქცევის სტანდარტი ადვოკატს ავალდებულებს კლიენტთან ხელშეკრულების შეწყვეტისას, თუ მას მიღებული საზღაურის შესაბამისი შეთანხმებული ოდენობა, ხოლო შესაბამისი მომსახურება არ აქვს გაწეული, თანხა, რომლის ტოლფასი მომსახურება არ გაუწევია, დაუბრუნოს კლიენტს. 2014 წლის 10 დეკემბერის საქმეში №037/14 ეთიკის კომისიამ განსაზღვრა, რომ იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.

7.16 ადვოკატების მიერ დატოვებული ანაზღაურების ღირებულებისა და განხორციელებული მომსახურების ექვივალენტობაზე, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ადვოკატი და კლიენტი განსაზღვრავენ საადვოკატო მომსახურების საგანსა და ჰონორარის ოდენობას, რაც წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის. ადვოკატი უფლებამოსილია, გაწეული საადვოკატო მომსახურების პროპორციულად, თვითონ განსაზღვროს ჰონორარის რა ნაწილია გამოუმუშავებელი და აღნიშნული თანხა დაუბრუნოს კლიენტს. მტკიცების ტვირთი, რომ დატოვებული ჰონორარი პროპორციულია შესრულებული

მომსახურებისა, ადვოკატს აწევს. მხარეთა ახსნა-განმარტებების გამოკვლევის შედეგად დგინდება, რომ ადვოკატები ხშირად ჩადიოდნენ კლიენტის საცხოვრებელ ადგილას სამართლებრივი დახმარების გაწევის მიზნით, ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის დროს, სოფელ ფერმაში ჩაიყვანეს შესაბამისი უნარებისა და ცოდნის მქონე სპეციალისტი და შეადგინეს აზომვითი ნახაზი; კლიენტის ინტერესების დასაცავად ხშირად უხდებოდათ სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოში ვიზიტი და კლიენტს თან ახლდნენ პოლიციაში საჩივრის წარდგენისას. ადვოკატმა მ. მ.-მ და ადვოკატმა ქ. ა. ო.-მ თავად განსაზღვრეს მიღებული ჰონორარის რა ნაწილი გამოიმუშავეს სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაებრუნებინათ კლიენტისათვის, რის შემდეგაც შ. დ.-ს დაუბრუნეს ჰონორარის 1/3 – 1000 ლარი. ეთიკის კომისია განიხილავს დავას მხოლოდამხოლოდ ადვოკატის ქცევის ეთიკის კოდექსის ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ის არ წარმოადგენოს სასამართლოს და არ არის უფლებამოსილი გადაწყვიტოს მხარეთა შორის წარმოშობილი სამოქალაქო სამართლებრივი დავა. ასეთი დავის არსებობისას მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნით და აწარმოოს სამოქალაქო სამართლებრივი დავა ადვოკატის წინააღმდეგ. შესაბამისად, ადვოკატების შეფასებით, მათ შესრულებული სამუშაოს შესაბამისი საზღაური დაიტოვეს და თუ საჩივრის ავტორი არ ეთანხმება თანხის ოდენობას, საკითხის შეფასება ცდება ეთიკის კომისიის უფლებამოსილებას.

7.17 საპროცესო კოლეგიამ განიხილა საჩივრის ავტორის პრეტენზია, რაც ეხებოდა ადვოკატ ქ. ა. ო.-ს მიერ კლიენტისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას, ეთიკის კომისიამ შეაფასა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის ფარგლებში: ,,კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.”

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებაში №057/10 აღნიშნა, რომ „ადვოკატის მოქმედება შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კანონითა და ეთიკის კოდექსის სტანდარტებით, რომ მისი პროფესიისადმი ნდობას საფრთხე არ შეექმნას საზოგადოებაში“. საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატს გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა საადვოკატო საქმიანობისას ზიანი არ მიაყენოს ადვოკატის პროფესიას. თითოეული ადვოკატის ქმედება ზეგავლენას ახდენს ადვოკატთა კორპუსის და პროფესიის სახეზე, ადვოკატის პროფესიის მიმართ პატივისცემასა და მისდამი საზოგადოების ნდობაზე.

7.18 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მხრიდან შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე მტკიცების ტვირთი საჩივრის ავტორს აწევს. მტკიცების სტანდარტზე ეთიკის კომისია ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებას №ას-872-830-2013, რომლის მიხედვითაც ,,საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი

ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებაზე". აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რაც ერთობლივად მაღალი ალბათობით დაადასტურებს სადავო ფაქტს, ამ შემთხვევაში სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტის დასადასტურებლად საჩივრის ავტორმა წარმოადგინა საკუთარი და მოწმის პოზიცია, კერძოდ 2021 წლის 15 ივლისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმემ - ბ. ნ. ო.-მ დაადასტურა სადავო ფაქტი. სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტის დასადასტურებლად კომისია საკმარისად ვერ მიიჩნევს ერთი მოწმის განმარტებას იმ პირობებში, როდესაც ადვოკატი არ ეთანხმება სადავო ფაქტს და ვინაიდან ფაქტი ვერ დგინდება, ამჟამად დისციპლინურ საქმეში არსებული მასალების საფუძველზე დარღვეულად არ მიიჩნევა აპეკ-ის მე-3 მუხლი.

7.19 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ საქმის მასალებით არ დგინდება ადვოკატების მიერ „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა" ქვეპუნქტის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის, მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილების დარღვევა.

7.20 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, 32-ე და 33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე, 31-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №033/21 ადვოკატ მ. მ.-სა /სიითი №/ და ქ. ა. ო.-ს /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/